ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №141909

ნომერი: AR144338

თარიღი : 26.04.2012

გაცემის თარიღი : 03.05.2012

გაცნობის თარიღი : 04.05.2012

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , ნაკვეთი 14/598 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ჭადაძე პ/ნ 01018000450
- თბილისი ყაზბეგის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული საკადასტრო ერთეულისთვის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.014.598), ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ის სტატუსი.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2):

ა) განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონა, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით;

ბ) კოეფიციენტები:

ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;

ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) - 4,6;

ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;

გ) შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/ სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის (25%-მდე), აგრეთვე ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა (იხ. დანართი).

აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის 80%-იანი განაშენიანება შესაძლებელია მხოლოდ კ1–ის–მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის გაზრდით, რაც განიხილება “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” სხდომაზე და დადებითი დასკვნის შემთხვევაში ქ. თბილისის მერი გამოსცემს შესაბამისს აქტს.

აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მისაღებად უნდა შეხვიდეთ ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე http://tas.ge/– ზე და შესაბამის ნომენკლატურაში შეავსოთ ელექტრონული განაცხადება და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოთ ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაც.
გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს ტელ. 237 83 46.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.